

საქართველოს ტურიზმის ინდუსტრიის ალიანსი

წარმოგიდგენთ

ხედავთ COVID19-ის ეკონომიკური შედეგების
დასაძლევად

დოკუმენტის პირველადი ვერსია: 28 აპრილი
აღნიშნული დოკუმენტის ბოლო ვერსია: 7 მაისი



საქართველოს
გასტრონომიის
ასოციაცია



ტურიზმის ინსტიტუტი
TOURISM INSTITUTE



დოკუმენტის შინაარსი

1. საგადასახადო შეღავათები;
2. საფინანსო ინსტიტუტებთან და მეიჭარეებთან ვალდებულებების შემსუბუქების მხარდაჭერა;
3. ჰიგიენის/უსაფრთხოების ნორმები და საბღვრების გახსნა;
4. თვითდასაქმებულები;
5. მარკეტინგული კომუნიკაცია საერთაშორისო ბაზრებზე და ავიაშიმოსვლის განახლება;
6. დოკუმენტზე მუშაობისას გამოყენებული წყაროები.



საპარტყალოს
გასტრონომიის
ასოციაცია



ტურიზმის ინსტიტუტი
TOURISM INSTITUTE



შესავალი

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს „საქართველოს ტურიზმის ინდუსტრიის ალიანსის“ საქართველოს სახელმწიფო ეკონომიკის გახსნის ხედვას ტურიზმის ინდუსტრიის კუთხით. გვჯერა, რომ ეს ხედვა წვლილს შეიტანს მთავრობის ანტიკრიზისული გეგმის მხარდაჭერასა და წარმატებით განხორციელებაში.

აღნიშნული დოკუმენტი ეხმაურება ტურიზმში თვითდასაქმებულების და მცირე/საშუალო ბიზნესების ლიკვიდურობის შენარჩუნების უზრუნველყოფას და უსაფრთხოების ნორმების იმპლემენტაციას მობილობის (როგორც სოციალური, ასევე კომერციული) გაზრდის მიზნით უახლოესი 12 თვის განმავლობაში.

ალიანსის წევრებია: საქართველოს გასტრონომიის ასოციაცია; საქართველოს ეკოტურიზმის ასოციაცია; სასტუმროების, რესტორნების და კაფეების ფედერაცია; საქართველოს გიდების ასოციაცია; გასტრონომიული ტურიზმის ბიზნეს ასოციაცია; ბიზნეს ტურიზმის ასოციაცია; საქართველოს ფერმერთა ასოციაცია; საქართველოს ტურიზმის ასოციაცია; ტურიზმის ინსტიტუტი; საქართველოს ტურიზმის კავშირი; საქართველოს სერტიფიცირებული გიდების ასოციაცია; საქართველოს ტრადიციული რეწვის ასოციაცია; საქართველოს ახალგაზრდა გიდების ასოციაცია; საქართველოს სომელიეთა ასოციაცია. ალიანსის წევრთა ჯამური რაოდენობაა 5137 იურიდიული და ფიზიკური პირი.

ვითვალისწინებთ რა სახელმწიფო ინტერესებსაც, გთვარობთ ორმხვრივად მომგებიან მიდგომას: ერთის მხვრივ ვაცხადებთ, რომ ალიანსში შემავალი ასოციაციების წევრები ვიღებთ ვალდებულებას ჩვენს მიერ მიწოდებული სერვისები და პროდუქტები გავხადოთ კონკურენტუნარიანი ფასისა და ხარისხის ქრილში და მეორეს მხვრივ, სახელმწიფოს გავუწიოთ დახმარება შესაძლო ახალი სტანდარტების და მიდგომების დანერგვისას ნებისმიერ ეტაპზე

წინამდებარე დოკუმენტში ტურიზმის ინდუსტრიაში მოიაზრებიან:

ყველა ტიპის განთავსების ობიექტი; საზოგადოებრივი კვების ობიექტები; გასტრონომიული ობიექტები; აგროტურისტული ობიექტები: კერძოდ ღვინის მარნები, აგრომეურნეობები, ტურისტული კომპანიები (შემომყვანი და გამყვანი, ტურ-ოპერატორები და ტურ-აგენტები); გიდები (ყველა ტიპისა და პროფილის) და გამყოლები; ღვინის ტურიზმის ობიექტები: ღვინის ბარები, ღვინის მაღაზიები, ტრადიციული რეწვის (სუვენირები) სახელოსნოები და მაღაზიები, გაქირავების ობიექტები, როგორც არის ავტომობილების, ველოსიპედების, ცხენების გაქირავება და ყველა ის რგოლი რომელიც ქმნის ტურიზმის ლოგიკურ მამოძრავებელ ჯაჭვს.

1. საგადასახადო შეღავათები:

მოკლევადიანი შეღავათები:

1.1 საშემოსავლო და ქონების გადასახადები: ტურიზმის ინდუსტრიის საშემოსავლო და ქონების გადასახადების გაუქმება 2020 წლის განმავლობაში (აქ არ იგულისხმება არამართო განთავსების და კვების ობიექტები, არამედ ტურიზმის ინდუსტრიაში ჩართული ყველა რგოლი). ხოლო 2019 წლის ქონების გადასახადზე გამოცხადდეს მორატორიუმი პრობლემის გამოსწორებამდე; თუ უკვე გადახდილია ქონების გადასახადი დარჩეს 2020-21 წლის ავანსად მომდევნო ქონების გადასახადის გადახდამდე.

1.2 ფიზიკური პირები (ინდ მეწარმეები): ხშირად ფიზიკურ პირებს აქვთ იპოთეკური სესხები ბიზნესის განსავითარებლად, მათ შემოსავალი კი ასევე ტურიზმზეა მიბმული, მოგეხსენებათ ფიზიკური პირები გარდა ბიზნესისა აგრეთვე საკუთარი ქონებით არიან პასუხისმგებელნი ბანკების მიმართ. ზემოთ ჩამოთვლილი საგადასახადო და საბანკო შეღავათები მნიშვნელოვნად უნდა იყოს გათვალისწინებული ფიზიკური პირებისთვის.

1.3 თვითდასაქმებულები, რომელთა შემოსავალი ტურიზმზე იყო დაფუძნებული მოხდეს შუამდგომლობა საფინანსო ინსტიტუტებთან სამომხმარებლო/იპოთეკური სესხების შეჩერების, სუბსიდირების, გადავადების და რესტრუქტურირების გზით გიდების, მძღოლების, ტრადიციული რეწვის ოსტატების და ტურიზმის სხვა თვითდასაქმებული პროფესიების წარმომადგენლებისთვის.

1.4 აწარმოე საქართველოს ფარგლებში მიღებული სესხების ძირის გადავადება, სესხების ვადის გახანგრძლივება 1 წლით და სესხების რესტრუქტურირება, თუ მათი შემოსავალი დაფუძნებულია ტურიზმზე.

მუდმივი შეღავათები:

1.5 კომუნალური გადასახადები: კომუნალური მომსახურების ტარიფები ტურიზმში ჩართული მცირე ობიექტებისთვის, განსაკუთრებით საოჯახო სასტუმროებისთვის, მცირე მარნებისთვის, რესტორნებისთვის, აგროტურისტული ობიექტებისთვის, სადაც სეზონური ფუნქციონირება ხდება, გაუტოლდეს ფიზიკურ პირის ტარიფებს (ელ-ენერჯია, გაზი, წყალი). ეს საკითხი განსახილველია და საჭიროებს დამატებით მსჯელობას არასეზონული კომპანიებისთვისაც. აღნიშნული ცვლილებით ხელს შევუწყობთ კომპანიებს აღადგინონ ფუნქციონირება და ისედაც შემცირებული ვიზიტორებისთვის მოხდეს ფასების და სერვისის მინიმალიზაცია, რაც წაახალისებს ტურიზმის ინდუსტრიის აღდგენას

1.6 დღგ: ჩვენ თვლით რომ, დღგ-ს დასაბეგრი მინიმუმის ზღვრის აწევა 1 მილიონ ლარამდე არის მნიშვნელოვანი შეღავათი მცირე და საშუალო ბიზნესისთვის (აგრეთვე მცირე ბიზნესის ზღვრის აწევა 1 მილიონ ლარამდე). კომპანიას უნდა ჰქონდეს არჩევანის საშუალება იყოს თუ არა დღგ-ს გადამხდელი, თუნდაც 1.7-ში განხილული მაგალითის მიხედვით.



1.7 დღგ-ს გაუქმება პირველადი წარმოების პროდუქციაზე: საზოგადოებრივი კვებისა და განთავსების სექტორში დღგ-ს გაუქმება პირველად წარმოებულ სოფლის მეურნეობის პროდუქტებზე (რომელთა შესყიდვაც ხდება ხელზე მეორეული პროდუქციის წარმოებისთვის). აღნიშნული პრობლემა დგას ყველა კვების ობიექტის წინაშე. საჭიროდ მიგვაჩნია აღნიშნულ თემაზე მოხდეს საკანონმდებლო რეგულაცია. კონკრეტულად გლეხისგან (ფერმერისგან) ხელზე შესყიდულ პროდუქციაზე გაფორმდეს „ხელზე შესყიდვის დღგ-ს ფაქტურა“, რომლის ჩათვლაც შემდგომ მოხერხდება. ან საქართველოში წარმოებულ ყველა აგრარული პროდუქტის სამრეწველო გადამუშავებაზე დღგ-ს მოხსნა (არსებულ სიას დაემატოს ყველა პროდუქტი); დღგ-ს განაკვეთის სრულად მოხსნა (ევროპული პრაქტიკა, სადაც საკვებ პროდუქტებზე დღგ სრულად გათავისუფლებულია). □ მნიშვნელოვანია აღნიშნულ სიაში ვიგულისხმოთ ტრადიციული და ადგილობრივი რეწვის სხვადასხვა ხელზე შექმნილი ნიმუშებიც, რომლის გაყიდვაც სუვენირებისა და ადგილობრივი რეწვის მაღაზიებში ხდება.

1.8 სტუდენტის სტატუსის მქონე დასაქმებულებისთვის საშემოსავლო გადასახადის განახევრება/გაუქმება. მხოლოდ პირველი აკადემიური მოსწრების ბაკალავრისთვის (23 წლამდე)



საქართველოს
გასტრონომიის
ასოციაცია



ტურიზმის ინსტიტუტი
TOURISM INSTITUTE



2. საფინანსო ინსტიტუტებთან და მეიჯარეებთან ვალდებულებების შემსუბუქების მხარდაჭერა:

2.1 სესხების გადავადება: სესხების 3 თვიანი გადავადებით კომპანიებსა და ფიზიკური პირებისთვის რეალური შეღავათი არ განხორციელებულა, ამიტომ მიგვაჩნია გადავადების შედეგად ბანკის გაძვირებული პროცენტის სუბსიდირება და გადავადების პერიოდის გახანგრძლივება 2020 წლის ბოლომდე (ან იმ გონივრული ვადით, სანამ არ შეძლებენ კომპანიები ფუნქციონირების დაწყებას). მოსაფიქრებელია მექანიზმი, რომელიც დაარეგულირებს მთავრობის მხრიდან საბანკო პროცენტის სუბსიდირებას; ხოლო ძირის გადავადება და სესხების რესტრუქტურირება მოხდება ბანკებთან შეთანხმებით. ეს ეხება განთავსების ობიექტების და კვების ობიექტებისა და ყველა სხვა დანარჩენ ტურიზმში ჩართულ სექტორებს. მნიშვნელოვანია გათვალისწინებული იყოს აგრეთვე იმ ფიზიკური პირების სესხები, რომელთა მიზნობრიობა ტურისტული ობიექტების მომსახურება იყო, საგანგებო მდგომარეობის გამო ვერ დაასრულეს სეზონისთვის ობიექტის მომზადება და ამ ეტაპზე საჭიროებენ დამატებით ფინანსურ რესურსსა და კრედიტების რესტრუქტურირებას ფუნქციონირების დასაწყებად

2.2 საკრედიტო-საგარანტიო სქემა: საოჯახო სასტუმროების, საოჯახო მარნების, აგროტურისტული ობიექტების, ტურისტული კომპანიების და სხვა ტურიზმის სექტორში ჩართული კომპანიებისთვის საკრედიტო-საგარანტიო სქემით სარგებლობა.

2.3 მეიჯარეების მხარდაჭერა: მოხდეს სათანადო მხარდაჭერა მეიჯარეებთან მიმართებაში, რომლებსაც აღნიშნული იჯარის შემოსავლის მიხედვით ჰქონდათ აღებული სესხები. განხილული იქნეს სესხის პროცენტის სუბსიდირების და ძირის გადავადების შესაძლებლობა ასეთ პირებისა თუ ობიექტებისთვის.

2.4 საოპერაციო ხარჯები: მოხდეს სახელმწიფო საგარანტო მექანიზმებითა და სესხის პროცენტის სუბსიდირებით მხარდაჭერა იმ შეჩერებულ ობიექტების, რომელთაც განახლებისთვის სჭირდებათ საოპერაციო ხარჯები, მაგ.: კომპანიის საერთო წინა წლის ბრუნვის 25%-ის იაფი კრედიტების ხელმისაწვდომობა.

3. ჰიგიენის/უსაფრთხოების ნორმები და საზღვრების გახსნა

3.1 მიგვაჩნია, რომ UNWTO/WHO რეკომენდაციებზე ლოდინი შეაფერხებს ეკონომიკის გამოცოცხლებას. ამიტომ დროულად უნდა მოხდეს ეროვნული ჯანდაცვის სტანდარტის შემუშავება, რაც გაზრდის ამ სერთიფიკატის მქონე ბიზნესების მიმართ ნდობას და დააჩქარებს ტურიზმის ამუშავებას, შესაბამისად მყისიერად უნდა მოხდეს შეთანხმება 3.2, 3.3 და 3.4 პუნქტებში განხილულ საკითხებზე შეჭერება.

3.2 როგორ მოესწრება უსაფრთხოების და ჰიგიენის გაიდლაინების დანერგვა შიდა და საერთაშორისო ტურიზმის ამუშავებამდე?

3.3 როგორ და ვის მიერ მოხდება სოფლად არსებული განთავსების ობიექტების ახალ სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმება?

3.4 ალიანსის წევრი ინდუსტრიის წარმომადგენლები მზად არიან სტანდარტების დანერგვის პროცესში სახელმწიფოს გამოუყოს თავიანთი ბიზნესები ახალი გაიდლაინების პილოტაჟისთვის.

3.5 ცნობილია რა, რომ ტურიზმის ადმინისტრაცია მუშაობს ახალ „მასპინძლობის ინდუსტრიის უსაფრთხოების ახალი სტანდარტზე (მიუს)“ (რასაც ცალსახად მივსაღებთ), გთხოვთ განგვიმართოთ მისი მნიშვნელობა და ასევე დაასახელოთ მისი შემუშავებისა და დანერგვის ვადები. გვაინტერესებს ასევე განიხილება თუ არა ეს სტანდარტი არსებული მდგომარეობის შეფასების და მონიტორინგის მყისიერ ინსტრუმენტად, რომელიც მოამზადებს ტურიზმის სექტორს უკვე დაანონსებული შიდა და საერთაშორისო ტურიზმის აღდგენისთვის.



4. თვითდასაქმებულები

4.1 ტურიზმის ინდუსტრიაში შემოსავლის გარეშე დარჩენილი პროფესიის წარმომადგენელთათვის : მძღოლები, ტურისტული ატრაქციების წარმომადგენლები (მთაში გამყოლები , ჯომარდობის, საცხენოსნო მიმართულებების წარმომადგენლები), ასევე მცირე ბიზნესების მფლობელებისთვის (ტურ-სააგენტოები, საოჯახო მარნები, საოჯახო სასტუმროების მფლობელები, რეწვის ნიმუშები [სუვენირები] მწარმოებლები) - შემუშავდეს სათანადო მხარდაჭერა სახელმწიფო შესყიდვების, ალტერნატიული დასაქმების ან შემოსავლების მიზნით. ასევე გაეწიოს მათ მხარდაჭერა საფინანსო ინსტიტუციებთან ურთიერთობის დროს სესხების რესტრუქტურირების ან გადავადების მხვრივ. (აღნიშნული საკითხი განხილულია ასევე საგადასახადო შეღავათების პუნქტშიც)

4.2 გიდების მხარდაჭერის პაკეტი:

ა) გიდების იდენტიფიცირება სახელმწიფოს მიერ (ყველა ასოციაციასთან შეთანხმებით).

ბ) გიდების პირდაპირი ფინანსური დახმარება 6 თვიან პერიოდზე - გიდების სპეციფიკის გათვალისწინებით (საფეხმავლო, კანიონინგის, კულტურული, ღვინის და ა.შ).

გ) შუამდგომლობა ბანკებთან და საფინანსო ინსტიტუტებთან სამომხარებლო სესხების და კრედიტების გადავადება/შეჩერებაზე (აღნიშნული საკითხი აღნიშნული საკითხი განხილულია დოკუმენტის 2.1 პუნქტში.

დ) გიდებისთვის ალტერნატიული დასაქმების შესაძლებლობა , მათი უნარების გათვალისწინებით შესაბამისი მიმართულებებით.

ე) გიდებისთვის Covid უსაფრთხოების გაიდლაინების შემუშავება, ტურისტული ნაკადის გახსნისთვის.

ვ) გიდებისა და ტურისტული კომპანიებისთვის სპეციალიზირებული მიკრო -პროგრამის შექმნა.

ზ) გიდებისთვის, უფასო დაშვების შესაძლებლობა წინასწარი რეგისტრაციის გზით, მუზეუმებში და დაცული ტერიტორიების ტურისტულ ობიექტებზე.

5. მარკეტინგული კომუნიკაცია საერთაშორისო ბაზრებზე და ავიაშიმოსვლის განახლება

5.1 დროულად განისაზღვროს სამიზნე ბაზრების მარკეტინგული კომუნიკაციის გეგმა, რათა შევიდეთ კონკურენციაში სხვადასხვა განვითარებული ტურისტული ინდუსტრიების მქონე ქვეყნებთან, რომლებიც ასევე წარმატებით ებრძვიან ვირუსს: მაგ. მალტა, კვიპროსი, საბერძნეთი, ხორვატია და ა.შ. მოხდეს ინდუსტრიის წინასწარი ინფორმირება სამიზნე ბაზრების და თითოეულ მათგანზე მიმართული სტრატეგიის შესახებ. ალიანსის წევრი ინდუსტრიის წარმომადგენლები გამოთქვამენ მზადყოფნას მოახმარონ ხელთ არსებული ნებისმიერი რესურსი ქვეყნის მარკეტინგული კომუნიკაციის შემუშავების და წარმართვის პროცესს.

5.2 საჯარო სექტორის მიერ საჰაერო საზღვრების გახსნის ეტაპობრივი გეგმის ზუსტი დეტალური სქემის ეფექტური კომუნიკაცია კერძო სექტორთან, იმ კომერციული ორგანიზაციებისთვის რომლებმაც უნდა მოახდინონ ავიაბილეთების, ტურისტული პაკეტების წინასწარი რეალიზაცია. თავის მხრივ, კერძო სექტორის მხრიდან წინასწარი, აქტუალური და გაუქმებული ჯგუფური თუ ინდივიდუალური ჯავშნების დეტალური მონაცემთა ბაზების შეგროვება და საჯარო სექტორთან გაზიარება, პრიორიტეტული ავიაშიმართულებების გამოკვეთის თვალსაზრისით

5.3 ავიაკომპანიების ჩამონათვალი, რომლებიც განახორციელებენ რეგულარულ/ჩარტერულ ფრენებს 1 ივლისიდან. ტუროპერატორებისათვის მნიშვნელოვანია კომერციული მოლაპარაკების წარმოება აღნიშნულ ავიაკომპანიებთან და შეთანხმების მიღწევა, რათა ავიაკომპანიებმაც თავის მხრივ ფიქსირებული ადგილების გაყიდვის გარანტიები მიიღონ და მეორეს მხრივ, ადგილობრივმა კომპანიებმა განაახლონ საერთაშორისო ბიზნეს პარტნიორებთან ბიზნეს მოლაპარაკებები.

5.4 საავიაციო სფეროს მხარდაჭერის რომელ მექანიზმს ირჩევს სახელმწიფო თუკი ასეთ გადაწყვეტილებას მიიღებს:

- ადგილობრივი ავიაკომპანიების სუბსიდირება
- საერთაშორისო ავიაკომპანიების მოზიდვის ინსენტივ სქემის ამოქმედება აეროპორტების ოპერატორების მიერ
- ჩარტერული ავიაკომპანიების დაკონტრაქტება სამიზნე ჯგუფების მიხედვით

5.5 ვინაიდან შეიცვალა მომხმარებლის ქცევა და ბაზრების სეგმენტაცია, პრიორიტეტული არსებული და ახალი ავიაბაზრების გამოვლენა- აქტუალური მოთხოვნის შესაბამისად, განსაკუთრებით ჯგუფური- ორგანიზებული ტურიზმის კუთხით.



საქართველოს
გასტრონომიის
ასოციაცია



ტურიზმის ინსტიტუტი
TOURISM INSTITUTE



6. დოკუმენტზე მუშაობისას გამოყენებული წყაროები:

- ჯანდაცვის სამინისტრო: “სამუშაო ადგილებზე ახალი კორონავირუსის თავიდან აცილების რეკომენდაციები“ და „მიზნობრივი სოციალური დახმარება მოქალაქეებს“
- ფინანსთა სამინისტრო: „კომპენსაციების და საგადასახადო შეღავათების შესახებ“
- საქართველოს კანონი ტურიზმისა და კურორტების შესახებ
- ეკონომიკის სამინისტრო: „ბიზნესის მხადაჭერის პროგრამები“
- Galt & Taggart: Weekly Market Watch; Tourism Watch; Covid-19 Impact on Georgia Economy
- PMCG Research: The Impact of the Covid19 on the Georgian Economy; Georgia Economic Climate; Hotel Price Index
- UNWTO: Covid 19 resources; Supporting Jobs and Economies
- WHO: Covid-19 and food safety: guidance for food business
- ICAO: Effects of Novel Corona Virus on Civil Aviation
- EU: Travel and transportation during the coronavirus pandemic; Jobs and Economy during the coronavirus pandemic
- WTTC: Government (policy) COVID-19 Hub
- World Bank: Support for tourism clients and destinations